8/1955

# ნ ი ა ნ გ ი

№ 8 გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXIII. ფასი 2 მან. თბილისი აპრილი 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორც ქალბატონს ნებავს

იტალიის მთავრობას თავის ნება-სურვილზე იმსახურებს ამერიკის ელჩი იტალიაში ქალბატონი კლერ ლიუსი. ამას წინათ ლიუსმა იტალიის მთავრობას ორი საათით შეაწყვეტინა სხდომა იმის გამო, რომ მას სურ-და შეხვედროდა პრემიერ მინისტრს.




იტალიის კაბინეტის „სხდომა“

Обязательный экземпляр

ნახ. გ. ლომიძისა

პატარა ფელეტონი




# შარის ამტეხი სადღაა?

აკაკი თერიშვილს ყალბისმქნელობისათვის ხუთი წლის პატიმრობა ახალი მოთავებული ჰქონდა, როცა საშაქრეზე ნაზამთრალი ბუზი დაინახა.

— ბზზ!—ბზუოდა და ფრთებს ისწორებდა მავნე მწერი.

— სიტკბოს ეტანება შეჩვენებული, — ეშმაკურად ჩაიცინა თერიშვილმა,—სიტკბო მე კი მაწყენდა თუ?

და ფიქრს გაჰყვა იგი: შაქარმა კონფეტი გაახსენა, კონფეტმა—თაფლის კვერი, კვერმა—შოკოლადი და ოცნებაში კონდიტერიც კი მოელანდა.

— უჰ, — იტკიცა შუბლში ხელი თერიშვილმა, — რაღა შორს ვეძებო სამსახური, აგერ „მთავარკონდიტერი" აქ არ არის? მერე რა უცხო კაცი მყავს მისი დირექტორი ბეჟანოვი? წავალ, პატივსა მცემს, პატივსა ვცემ...

და აკაკი თერიშვილი მეჩნიკოვის ქუჩაზე (№ 1-ში) გაჩნდა. აქ იყო მოთავსებული „მთავარკონდიტერის" გამსაღებელი ბაზა, რომლის საწყობსაც მრავალი წლის განმავლობაში პატიოსნად და სანაქებოდ ხელმძღვანელობდა პარტიის წევრი, სამამულო ომის ინვალიდი ოთარ ნატროშვილი.

თერიშვილმა „საქმე" აათვალიერ-ჩაათვალიერა, „მთავარკონდიტერის" დირექტორს ბეჟანოვს გაუღიმ-გაუცინა და ძველი „ნაცნობობის" გახსენების შემდეგ იგი არარსებულ „თანამდებობაზე" გაფორმდა. გაფორმდა და 1953 წლის ივლისიდან ხელფასიც დაენიშნა. გადიოდა თვეები, დგებოდა უწყისები, თერიშვილი ხელს აწერდა და ჯამაგირს იღებდა. რაში და რის გამო?

აი, აქ ჩაისახა ნატროშვილისათვის „წყალის შეყენების" იდეა! აბა, მაშ რა უნდა ექნა დირექტორს? ხომ უნდა გაემართლებინა „გაფორმებული მუშაკის" არსებობა? „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო" გაიფიქრა ბეჟანოვმა და რაღაც მოჩვენებითი ბრალდებით თავისი თანამდებობიდან „დროებით" გადააყენა ოთარ ნატროშვილი, ხოლო მის ადგილზე აკაკი თერიშვილი წამოასკუპა. მაგრამ ყალბისმქნელი აქ საკმაოდ ძლიერ შეფერხებას წააწყდა: საქ. კ. პ. მოლოტოვის რაიკომმა ნატროშვილის თანამდებობაზე არ დაამტკიცა მექრთამეობაში მხილებული, პარტიიდან გარიცხული, სიყალბეში დაჭერილი და ხუთი წლის ნაციხარი თერიშვილი.

მაგრამ ეშმაკს ძილი არ უყვარს. ამასობაში თერიშვილის იღბალზე „მთავარკონდიტერი" „გლავსახარს" შეუერთდა. „ბუზი შაქარს" გადაჰყვა და თერიშვილი, სხვა მკვდარ ინვენტართან ერთად, მემკვიდრეობით „გლავსახარის" კუთვნილებაში გადავიდა. „გლავსახარის" მმართველმა ამხ. სანაკოევმა კი ამ ახალი შენამატისადმი ყურადღება იმაში გამოხატა, რომ მოლოტოვის რაიკომის მითითებისამებრ, თერიშვილი კი არ მოხსნა, არამედ ჯერ ერთ წელიწადს იქვე ამუშავა, ხოლო შემდეგ დააწინაურა და დანიშნა საქონლის მცოდნედ, რისაც მას არც ცოდნა აქვს და არც პრაქტიკა. ამასთანავე სანაკოევმა, საქმის განკითხვის ნაცვლად, ალალ-მართალი ოთარ ნატროშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

დაიწყო ჯარამ ტრიალი:

მოლოტოვის რაიონის პროკურატურამ განიხილა და ნატროშვილის საქმეში სისხლის სამართლის დანაშაული ვერ აღმოაჩინა. მერე რა? პასუხისგებაში მიმცემნი რომ გამტყუნებულიყვნენ, ვიღას უნდა ეზღო განაცდური?

და ახლა თბილისის ქალაქის პროკურატურაში გაჩნდა საჩივარი. იქიდანაც პასუხი: „გიბრუნებთ თქვენს მიერ აღძრული საჩივრის მასალებს. ნატროშვილის საქმე ჩვენს მიერ მოსპობილია".

სანაკოევმა უკან აღარ დაიხია და ახლა რესპუბლიკის პროკურატურას შეევედრა: თუ სისხლის სამართლის კვალი არ არის, ნატროშვილი სამოქალაქო წესით მაინც დასაჯეთო და რაღაც ფანტასტიკური დანაკლისის გადახდევინება მოითხოვა. არც ეს გამოვიდა. ამის შემდეგ ნატროშვილის საქმეს გზავნიან ხელმეორე და ხელმესამე ძიებისათვის. მას სიტყვიერი ბრალდებებით „ამძიმებენ" და დასჯას მოითხოვენ. არა. არსად მისი „დანაშაული" არ მტკიცდება.

დრო გადის, ნატროშვილი განაცდურს ჩივის. მას სასამართლო განაცდურს მიაკუთვნებს უკვე 9.000 მანეთის რაოდენობით. ამაზე ხომ სულ „ცეცხლი ეკიდება" სანაკოევს. იგი აპროტესტებს სასამართლოს დადგენილებებს, გაიძახის: არამც და არამც არ გადავიხდითო და თავის იურისკონსულტს მღებროვს არიგებს: გინდა თუ არა, „მთლიანი მონაცემები" შეაგროვე ნატროშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემადო.

კიდევ საჩივარი, კიდევ განხილვა, კიდევ უარი, კიდევ პროტესტები და ბოლოს მაინც სიმართლის ზეიმი: კომბინატორ თერიშვილისათვის ხელის დაფარების მიზნით უდანაშაულოდ მოხსნილი ოთარ ნატროშვილი ყველა ინსტანციაში გაამართლეს და განაცდურიც აუნაზღაურეს.

ამრიგად, უცნაური „პრინციპის", თუ უთავბოლო ჯიბრის შედეგად, სახელმწიფოს დააკლეს 9.000 მანეთი, ხალხი აწვალეს და გააცდინეს, მელანი, ქაღალდი საკმაოდ ბლომად დახარჯეს და, ალბათ, ამხ. ბეჟანოვმა და სანაკოევმა ყველაფერი ეს დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს.

მაგრამ გვინდა ერთი ლოგიკური რეპლიკა მივცეთ მთელი ამ აბრაკადაბრის ავტორებს: ის ფაქტი, რომ ნამდვილად უდანაშაულო ოთარ ნატროშვილი დამსახურებულად გამართლდა—ხომ ამტყუნებს ვიღაცას? შარის ამტეხი სადღაა? ამ უსაფუძვლო ჩოჩქოლის ამტეხს თვალებში ხომ არ უნდა აკოცონ?

**ფარსადანი**

## გულმოდგინე კონგრესმენი

ნახ. ბორ. ეფიმოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— წინადადება შემომაქვს მოვითხოვოთ სრული განიარაღება...



...ყველა სახის ატომური იარაღის აკრძალვა...



...ხაზებთა კავშირში.

(„კროკოდილიდან")

ნახ. დონიხა



ეს ოთახი მმართველის განკარგულებაშია.




ამ ოთახში კი, მმართველის განკარგულებით... ტევა არ არის.

## შეარჩეს და აპატიეს

დიდი ხანია ქსანში სადგურის მორიგედ ვლადიმერ ლომიძე მუშაობს. მადა ლომისა აქვს და სურვილი ხომ უფრო მეტი. ჯერ იყო და ექვსი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რკინიგზის მესამე განყოფილების ბუხჰალტერიაში ყალბ ცნობას აგზავნიდა, თითქოს მას ჰყავს შვილი—გიორგი, დაბადებული 1948 წელს. ნამდვილად კი მას შვილი არასოდეს ჰყოლია... და წარმოიდგინეთ, აპატიეს ეს შეცოდება!

ქსანში ლომიძე თავს ისე გრძნობს, როგორც სადგურის. ბატონ-პატრონი.

ამას წინათ სადგურის საბარგო მწონავი სამორიგეოში დასვა, თვითონ კი მის ცოლს მიუხტა. შეიქნა წიოკობა, ყვირილი... ბოლოს ქალის მეზობლებმა ძლივს გამოათრიეს გათავხედებული რაინდი.

ესეც აპატიეს!..

ახლახან მოქ. ელყანიშვილს მატარებელმა ინდაური გაუჭყლიტა. ლომიძემ ეს სხვისი ინდაური მოახარშვინა, ზედ მებუფეტეს ღვინო დაამატებინა და ლაზათიანად იქეიფა. შეერგო კიდეც!..

მაგრამ როდემდე შერჩება ეს დანაშაულობანი, ეს კი არ ვიცით.

შერჩება კი?!.

გ. ალავიძე

## ერთის დასვენებამ ათას მოსვენება დაუკარგა

მოდის ზაფხული—სააგარაკო სეზონი. მზის სინათლე თანდათან მატულობს. ვფიქრობ, სწორედ ახლაა დრო მის სინათლეზე გამოვიტანოთ შარშანდელი ზაფხულის ერთი პატარა ინციდენტი. მიზანი—წელს მაინც აღარ გამეორდეს მსგავსი ამბავი.

ალბათ გსმენიათ იმის შესახებ, თუ როგორ დაისვენა ერთი საგზურით მთელმა ოჯახმა. ეს მოხდა ასე: სიძემ საგზურით კურორტზე გაგზავნა თავისი ანჩხლი სიდედრი. ამით დაისვენა ყველამ – საგზურიანმაც და უსაგზურომაც.

მოხდა პირიქითაც. გიამბობთ, თუ ერთმა საგზურმა როგორ დაუკარგა მოსვენება ბევრს.

თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 110-ში არის შავი მეტალურგიის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ა/კ კანტორა, რომლის მმართველია ს. კ. ტიხონოვი.

გასული წლის დეკემბრამდე მას ყავდა მოადგილე ი. ნიჟარაძე. რატომღაც ახირებულ კაცად ეჩვენა იგი ტიხონოვს და სამუდამოდ აიყარა მასზე გული.

ერთ ღამეს, ნიჟარაძემ უეცრად გულის მწვავე შეტევა იგრძნო.

— გულის ანგინა,— დაასკვნეს ექიმებმა და ავადმყოფს მკაცრი რეჟიმის დაცვა, ხანგრძლივი მკურნალობის ჩატარება ურჩიეს.

კანტორაში ეს ამბავი ჩქარა გაიგეს. შეწუხდა ყველა, „შეწუხდა" მმართველიც. მან დაპირებებით აავსო მოადგილის შეშინებული ცოლ-შვილი:—ყოველმხრივ დაგეხმარებითო,—დაამშვიდა ისინი.

1954 წლის ივნისი იყო. სიცხეები დაიჭირა. ავადმყოფ ნიჟარაძისათვის დასვენება ისე იყო საჭირო, როგორც მისი მმართველისათვის წინდახედულობა. მაგრამ ამ უკანასკნელის უქონლობის გამო, ნიჟარაძემ კი არა, მთელმა შტატმა დაკარგა მოსვენება.

„იქნებ საგზური მიშოვნოთო", ითხოვა ნიჟარაძემ,— „რად გინდა თხოვნა? როგორც კი რამე გამოჩნდება..." დაამედა იგი ტიხონოვმა.

გავიდა ხანი. საგზურები მოვიდა და ისე წავიდა ხელიდან, რომ ნიჟარაძეს ამის შესახებ არც კი გაუგია. ერთ დღეს იგი ადგილკომის თავმჯდომარის ევგენია შჩეკატიხინას სანახავად მივიდა.

— ევგენია კირილოვნა ახალ ათონში გაემგზავრა დასასვენებლად,—უთხრეს მას.

— დანარჩენი საგზურები, დაპირებები?..—იკითხა ნიჟარაძემ.

— საგზურები გათავდა.—ცივად უპასუხეს მას.

სულ ადგილკომმა, პერსონალურის გარდა, მიიღო 13 საგზური: 1—ახალი ათონის სანატორიუმისა, 2—საბავშვო სანატორიუმებისა და 10—დასასვენებელი სახლებისა.

— მეორე საგზური ვინ მიიღო? —განცვიფრდა ნიჟარაძე.– ალბათ, ის მაინც შეინახეს ჩემთვის...

— მეორე საგზური მარცვალოვს მისცეს!

ნიჟარაძე ნელი ნაბიჯით გამოემართა კარებისაკენ. „განა დავიმსახურე, რომ ამხანაგებს ასე მოვეტყუებინე? საიდან გამოჩნდა მარცვალოვი?" ფიქრობდა იგი, როცა ნაცნობი ხმა შემოესმა:

— გამარჯობათ, იოსებ!

უხალისოდ აიღო თავი ნიჟარაძემ და განცვიფრდა.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!— უხალისოდვე უპასუხა მან დამხვდურს.

— ჩამობრძანება? განა სად ვიყავი?—ვერ მიუხვდა მარცვალოვი.

— შენ ხომ ზღვაზე ისვენებდი... ისე, სულ არ მოგკიდებია მზე, როდის ჩამოხვედი?—კვლავ გაუმეორა კითხვა ნიჟარაძემ.

— ჰო... მზე, მზე...—დაბნეულად წაილუღლუღა მარცვალოვმა, —არ მომეკიდა. —გაუბედავად დაუმატა მან.

იოსები მისმა დაბნეულობამ ჩააფიქრა.

— როდის გაუვიდა საგზურს ვადა?—ვითომდა სხვათა შორის შეეკითხა მარცვალოვს. მარცვალოვი ერთხანს ჩაფიქრდა და გულუბრყვილოდ წამოიძახა:

— თუ არ ვცდები, ეგრე, ერთ-ორ კვირაში გაუვა...

— როგორ, მერე შენ აქ რა გინდა?

— ვა, როგორ თუ რა მინდა, ვმუშაობ!—გაუკვირდა მას.

არანაკლებ გაკვირვებული იყო მისი პასუხებით ნიჟარაძე.

— რატომ არ მომეცით საგზური?—ჰკითხა მან ადგილკომის თავმჯდომარეს, როცა იგი ახალი ათონიდან დაბრუნდა.

— როგორ? განა თქვენ გინდოდათ საგზური?— შჩეკატიხინამ მხრები აიჩეჩა, —მერე და სად იყო თქვენი განცხადება, საკურორტო შესარჩევი რუკა? ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა ზღვა მოგიხდებოდათ თუ არა... მარცვალოვის განცხადება კი დავაკმაყოფილეთ, ეს შეთანხმებული იყო მმართველთან...

— ჩემი, გულით დაავადმყოფებული კაცის, მეორე ჯგუფის პენსიონერის საგზური მიეცით მარცვალოვს? მან კი არ ისარგებლა ამ საგზურით და ვიღაცას გადასცა...

— ვინ არის ვიღაცა? არ ტყდებოდა მარცვალოვი,— ჩემი ცოლ-შვილი გავუშვი იმ საგზურით!—მმართველს კმაყოფილებით გაეღიმა.

— წელს ჩვენ ახალ ათონში არ ვყოფილვართ.—დაბეჯითებით აცხადებს მარცვალოვის მეუღლე და ეჭვის თვალით იცქირება.

— თვითონ მარცვალოვმა თქვა, ათონში მყავს გაგზავნილი ცოლ-შვილიო. —დაბეჯითებით უთხრეს მას.

ამის გაგონებაზე მარცვალოვის მეუღლემ შეჰკივლა. „ღალატი?" წამოიძახა მან. შეშინდა სერგო— ეს რა შარში გავებიო და ვაჟკაცურად გატყდა: „საგზური მმართველმა მთხოვა და მივეციო". აირია მონასტერი: მმართველმა თქვა —„აი ეგ გაიძვერა, ფლიდი (ე. ი. მარცვალოვი), მე მაგ საგზურისა არაფერი ვიციო". უთხრეს— „აბა, კარგად გაიხსენეთო". „ოო... მახსოვს, მახსოვს, მარცვალოვმა მთხოვა —ეს საგზური მეკარგება და იქნებ მიშველო რამეო. შემეცოდა —აბა, ასეთ დროს როგორ არ გაუმართავ კაცს ხელს... ქალაქის მეორე საავადმყოფოში დავრეკე მთავარი ექიმის მოადგილესთან და ვთხოვე: თუ ძმა ხარ, ეს 1200-მანეთიანი საგზური გვიფუჭდება და იქნებ 360 მანეთად სადმე გაგვისაღო-მეთქი".

— რატომ მაინცდამაინც მეორე საავადმყოფოში დარეკეთ? რატომ თქვენს ადგილკომს არ მიმართეთ? თქვენი მოადგილე არ გაგახსენდათ?

ამ კითხვებზე კითხვის ნიშანივით იღუნებოდა წელში მმართველი.

— ჰოდა, იმ საავადმყოფოში ვიღაც ექთანისათვის მიუციათ ეს საგზური.

— თქვენ არ იცნობთ იმ ვიღაც ექთანს?—ჰკითხეს ტიხონოვს.

— არა... ჰო... არა...— დაიბნა მმართველი.

ტიხონოვმა საგზური თავის ნაცნობ ქალს გაუგზავნა, გაჭირვებაში მყოფი ამხანაგი და მოადგილე კი არც გახსენებია.

ასეთია ისტორია ამ საგზურისა, რომელმაც ერთი დაასვენა და რამდენიმე კაცს კი მოსვენება დაუკარგა.

გ. ნიშნიანიძე

## ოლღა დოლიძე თავისი გმირებით

(მეგობრული შარჟი)

ნახ. ირ. გორ[illegible]ისა


ეროვნული ბიბლიოთეკა





მან ესტრადის სამსახურში
ცეცხლი გააჩაღა რა,
კვლავ ხალისი შერჩა გულში,
თუმცა ფარავს ჭაღარა!

კვლავ მახვილად ხმარობს სიტყვას,
მტერიც ბევრი ატირა,—
კარგს აქებს და ცუდსა კიცხავს
მუდამ მისი სატირა.

განვლილ შრომის ოცდახუთ წელს
ზეიმობს და ისაა,
მაგრამ ჩვენ კი აღარ გვიმხელს
თვით რამდენი წლისაა!

არა უშავს, უარს ვიტყვით
ამით გულის ტკენაზე,—
თუ მას კვლავაც ხშირად ვნახავთ
გამარჯვებულს სცენაზე!

ს. ნიანგელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელში

## სამუზეუმო ექსპონატი

თეთრწყაროში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი არ არის. მიუხედავად ამისა, თეთრწყაროელებმა უკვე დაიწყეს ისტორიული ექსპონატების შეგროვება. პირველი სამუზეუმო იშვიათობა—დამწერლობისა და საფოსტო „მიმომტანლობის“ ნიმუში უკვე აღმოჩენილია:



ეს არის 1953 წლის 1-ლ ნოემბერს ქ. სამტრედიიდან, მოქ. ფატი ჩაჩუას სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელსაც 1955 წლის 11 იანვარს მოუღწევია ს. თეთრწყაროში.

წერილის სწრაფი „მიმომტანლობის“ დამახასიათებელ ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ მისმა ადრესატმა ფატი ჩაჩუამ, რომელსაც 1953 წლის 7 ნოემბრისათვის სამტრედიელები ქორწილში ეპატიჟებოდნენ, მიიღო იგი მაშინ, როცა იმ დაქორწინებულთა ოჯახში უკვე აკვანი იდგა და მათი პირმშო „აღუს“ იძახდა.

ამრიგად, თეთრიწყაროს ფოსტამ, რომელსაც მსგავსი „სამსახური“ არაერთხელ გაუწევია კლიენტებისათვის, თავისი „ოპერატიულობა“ უკვდავყო და უკვე დაიბევა ადგილი ჩვენს მომავალ მუზეუმში.

**ნ. ნოდარაშვილი**

## მობრძანდით და მოიხილეთ

ზღაპრული დევის ალაყაფს ორი ლომი დარაჯობს, შეხვალ, ერთი „ჰამუ“ და შენი სინსილა აღარ დარჩება. დევი კი წევს არხეინად, ხვრინავს, მყუდროებას არავინ ურღვევს...

ბებიაჩემის ძველი ზღაპრიდან ეს ადგილი გამახსენდა, როცა ბოლნისის რაიონის სოფელ რატევნის კლუბის ეზოში შესვლა დავაპირე. ალაყაფთან ღრენით წამომიხტა ორი ქოფაკი. ჯაჭვმა არ გაუშვა, თორემ ისინი ჩემს შთანთქმას არც დააყოვნებდნენ.

ეზოში მინგრეულ-მონგრეული შენობაა, რომელზეც იკლიბაკლოდ აწერია „კლუბი“. კლუბის ქვედა სართული ცხვრის ბაკად გადაუქცევიათ, თვით „კლუბის“ დარბაზი კი ობობებისა და ღამურების ბინად, კოლმეურნეებს კი ენატრებათ თუნდ ერთი ლექცია, კინოსურათი, ან ერთი წარმოდგენა მაინც.




მობრძანდით და მოიხილეთ რა გულდამშვიდებული თავმჯდომარე ჰყოლია ჩვენს კოლმეურნეობას!

**რატევნიშვილი**

## ჩვენი „ხმელთაშუა“

მართალია, რიონი ცოტათი შემოსწყრა ქუთაისს, მაგრამ ქალაქის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ გული არ დაგვწყვიტა და წყალსიმცირე არ გვაგრძნობინა.



ამჟამად მარდალეიშვილის ქუჩა უკვე წყალუხვ სანაოსნო ადგილად არის გადაქცეული, მის ჩიხ-შესახვევებსა და გარშემო ეზოებშიც უთვალავი ტბები გვაქვს გამართული. გვაკლია მხოლოდ სათანადო ფლოტილია, რომ ამ ჩვენს „ხმელთაშუა ზღვაზე“ მიმოსვლა შეუფერხებლივ წარმოებდეს.

ამ პატარა ნაკლსაც, ალბათ, როგორმე მოვაგვარებთ ნაოსნობის დაწყებამდე. ეჭვი ნუ გექნებათ, შეიძლება გვალვიან ამინდებში ოდნავ შეშრეს ჩვენი ქუჩის ტბა-გუბეები, მაგრამ შემდგომი წვიმის მოსვლამდე ნაოსნობა მაინც არ შეფერხდება.

**ზვიადაური**

## ხუბერული ნამყენები

ამხანაგო ნიანგო! ამ რამდენიმე ხნის წინ ხუბერში გახლდით. წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობის ურთიერთდამხმარე სალაროს სასადილოშიც მომიხდა შესვლა. სასადილოს ნიხრში ამოვიკითხე ასეთი იშვიათობა: „ღვინო ნამყენი, 1 ბოთლი 12 მანეთი“.

ჭაშნიკი გავუსინჯეთ, წყლის გემო ვიგემეთ, დაბოლოს ერთი თევზის ქერტლის აღმოჩენით დავრწმუნდით, რომ ჩვენი კარგი ვაზის წვენი ტაუბერის წყალზე იყო დამყნილი.




რა ჯობია ასეთ სასადილოს, ნიანგო, სადაც სალარო სასადილოზეა დამყნილი და სასადილო—თავმჯდომარეზე.

**იძაური**

# ნათესაური ეპიდპუნქტი

წელს დუშეთის სამალარიო სადგურის ფუნქცია რაიონულ ეპიდპუნქტს გადასცეს. სამალარიო სადგურში სამი საშტატო ერთეული შეამცირეს. სამაგიეროდ ეპიდპუნქტში ერთი მოუმატეს—ინსტრუქტორ-ბონიფიკატორისა.

ამ ერთ ადგილზე ორ ადამიანს სურდა მოწყობა. ერთი იყო ეკატერინე ბერიძე, მეორე—ევგენია ცქიმანაური. თვითეულმა მათგანმა თავისი კანონიერი უფლებები წამოაყენა. აი ისინიც:

ეკატერინე ბერიძე ცხრა წელიწადს დუშეთის სამალარიო სადგურში ქინიზატორად მუშაობდა. მას ქმარი სამამულო ომში დაეღუპა. იგი ორ შვილს ზრდის—ანზორსა და დოლორესს. ანზორი თბილისში სწავლობს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მეორე კურსზე, დოლორესი—დუშეთის საშუალო სკოლაში. ეკატერინე ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

ევგენია ცქიმანაური ახალგაზრდა გოგონაა. მისი და ციალა ეპიდპუნქტშივე მუშაობს. იქვე მუშაობს მათი მამა ილო, რომელიც სამსახურში თავისი ქალიშვილის—ციალას ხელქვეითია. ცქიმანაურების კიდევ ორი და დუშეთის რაიონულ საავადმყოფოშია მოწყობილი. მაგრამ, რაც მთავარია, ევგენია ნათესავი გახლავთ დუშეთის ეპიდპუნქტის გამგის გულო თუჯიშვილისა.

დაიწყო სჯა-ბაასი, მოწინააღმდეგე მხარეების უფლებების აწონ-დაწონვა. და აი, დადგენილება მიღებულია. ეკატერინე ბერიძე შტატგარეშე დარჩა. ხოლო ეპიდპუნქტს კიდევ ერთი თანამშრომელი მოემატა ცქიმანაურების გვარიდან (რიცხვით მესამე!).

იჩივლა ეკატერინე ბერიძემ. ეპიდპუნქტის გამგე გულო თუჯიშვილი დიდად განაწყენდა. ხოლო რაიჯანგანის მაშინდელი გამგე იურა ძებისაშვილი განრისხდა და ბერიძე „ეშმაკებთან“ გააგზავნა...

ეშმაკების ნაცვლად ბერიძე სხვაგან წავიდა. იქ ძებისაშვილს ისიც გაუხსენა, რომ რაიჯანგანის მდივანი ახალაშვილი ხელფასს ღებულობს როგორც ბონიფიკატორი. მეორე ბონიფიკატორად ილო პატაშური მუშაობს, ხოლო „მეფურგონედ“ მისი ცოლი. დიასახლისი ქალია გაფორმებული, რომელიც დღესდღეობით არავის უნახავს „ფურგონზე“ მჯდარი.

ამაზე ხომ სულ განრისხდა ძებისაშვილი. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს მისწერა, რომ ბერიძეს „არა აქვს საშუალო სამედიცინო განათლება და განთავისუფლებული იქნა, როგორც არასპეციალისტი“. სამაგიეროდ იმავე წერილში აღნიშნა, რომ „მოქ. ცქიმანაურს მოსმენილი აქვს ორთვიანი კურსი... და ამიტომ უპირატესობა ენიჭება ბერიძესთან შედარებით“. საშუალო სამედიცინო განათლება არც ცქიმანაურსა აქვს!

რაიჯანგანის გამგემ მთავარი არ თქვა, არ თქვა, რომ ცქიმანაური თუჯიშვილის ნათესავია...

მ. სიმონიშვილი

ნახ. ზ. ლეჟავასი




— ჩვენ თავით ფეხებამდე დავსველდით, ანგარიში კი მშრალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის მოადგილე ვ. თორდუა.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 8, ხელმოწ. დასაბ. 18/IV-1955 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 137. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეკვ. № 831 უე 03458 ტირ. 25.000

55-157
ეროვნული ბიბლიოთეკა



— საწყალი ჩვენი ქოჩორა იმიტომ მეცოდება, რომ ორჯერ მოსჭრეს თავი:—ერთი ამას წინათ, ჩვენმა ფერმის გამგემ რომ იცრუა წელიწადში 12 კვერცხზე მეტი არ დაუდიაო; მეორედ კი ახლა...

ნახ. ა. კანდელაკისა